IVANE JAVAKHISHVILI AND THE PROBLEMS OF THE HISTORY OF THE GEORGIAN CHURCH

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის პრობლემები

Sergo Vardosanidze
PhD of Historical sciences, Professor of Tbilisi of Teological Academy and Seminary. Tbilisi. Georgia
ORCID ID:0000-0003-0579-5458
(+995)99575190, sergovar@gmail. com

Abstract

Ivane Javakhishvili, a great Georgian historian, was among the first to investigate the scientific history of the Georgian Orthodox Church. Despite his critical attitude toward some Georgian historical sources, he was the first to reconstruct the history of the Georgian Church from the first to the eighteenth centuries using numerous Georgian and foreign sources. He thoroughly studied the sources available on the apostolic activity of St. Andrew and St. Nino in Georgia and the significance of declaring Christianity the state religion; he clarified its chronology, and reconstructed the history of the Great Church Schism, the Georgian Church's autocephaly, the preparation of myrrh in Mtskheta, the unification of the Catholicates of Mtskheta and Abkhazia, and the peculiarities of Georgian monastic life. The scholar stressed the importance of Gregory of Khandzta, George the Hagiorite, and David Agmashenebeli in the history of the Georgian Church. The struggle of the Georgian Church in the middle centuries to strengthen the Georgian state and ecclesiastic consciousness was extremely important for Ivane Javakhishvili; chastised the kings and princes of Meskheti and then West Georgia for attempting to separate Mtskheta from the Catholicate (of all Georgia) in the 70s and 80s of the fifteenth century, and dubbed the initiators of the case the gravediggers of Georgia. The scholar rebuked the abolition of Eastern and then, Western Catholicates of Georgia and establishing the Exarchate ruling by Emperor Alexander I of Russia in 1811-12. At the beginning of the twentieth century, he actively participated in discussions on Church matters concerning the autocephaly of the Georgian Church in St. Petersburg; he welcomed the restoration of the Georgian Church's autocephaly and specially invited Catholicos-Patriarch Kirion II to the Georgian University's opening ceremony. He held high regard for Catholicos-Patriarchs of Georgia Ambrosius and Callistratus. His contribution to the study of the history of the Georgian Church is invaluable and should be duly appreciated.

Key words: Ivane Javakhishvili, Andrew the First-Called, Saint Nino, Catholicate of Abkhazia, Catholicate of Mtskheta, Gregory of Khandzta, George the Hagiorite, Exarchate ruling, Catholicos-Patriarchs of Georgia: Kirion, Ambrosius, and Callistratus.

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასულიერო
აკადემიის და სემინარიის პროფესორი
ORCID ID:0000-0003-0579-5458
+995599575190, sergovar@gmail. com

აბსტრაქტი

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეცნიერული ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, მიუხედავად იმისა, რომ მას ქართული საისტორიო წყაროების ერთი ნაწილის მიმართ ჰქონდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება, პირველმა ქართული და მრავალრიცხოვანი უცხოური წყაროების ანალიზის საფუძველზე აღადგინა საქართველოს ეკლესიის ისტორია პირველი საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით. მან დაწვრილებით შეისწავლა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის და წმინდა ნინოს მოციქულებრივი საქმიანობის შესახებ არსებული წყაროები, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მნიშვნელობა, დააზუსტა მისი ქრონოლოგია, ქართული და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე აღადგინა დიდი საეკლესიო განხეთქილების ისტორია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, მირონის მცხეთაში მომზადების, მცხეთის და აფხაზეთის საკათალიკოზოს გაერთიანების საკითხები, სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი ქართულ ეკლესიაში. მეცნიერი განსაკუთრებულად გამოჰყოფდა გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მთაწმინდელის და დავით აღმაშენებლის როლს ქართული ეკლესიის ისტორიაში. ივანე ჯავახიშვილისათვის ფასეული იყო შუა საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და ეკლესიური ცნობიერების განმტკიცებაში და უარყოფითად აფასებდა მეთხუთმეტე საუკუნის 70-80 იან წლებში, ჯერ მესხეთის, შემდეგ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების მცდელობას მცხეთის (სრულიად საქართველოს) საკათალიკოზოდან ჩამოშორების შესახებ და ამ საქმის ინიციატორებს საქართველოს მესაფლავეებს უწოდებდა. მეცნიერი უარყოფითად აფასებდა რუსეთის იპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ 18011-12 წლებში ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოზოების გაუქმებას, საეგზარქოსო მმართველობის დამყარებას და მეოცე საუკუნის დასაწყისში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის შესახებ პეტერბურგში გამართულ საეკლესიო საკითხების დისკუსიებში, იგი მიესალმა საქარრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე საგანგებოდ მიიწვია კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II. იგი დიდ პატივს სცემდა კათალიკოზ-პატრიარქებს ამბროსის, კალისტრატეს. დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში და მას სათანადო დაფასება სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია პირველწოდებული, ბნ წმიდა ნინო, ავტოკეფალია, აფხაზთა საკათალიკოზო, მცხეთის

საკათალიკოზო, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, საეგზარქოსო მმართველობა, კათალიკოზები კირიონი, ამბროსი, კალისტრატე.

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის 60-90 -იანი წლების ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს ისტორიის საკითხებს ადვოკატურ-გამოსარჩლებითი პრინციპებით იხილავდა, მაგრამ ახალგაზრდა, განათლებული ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამ და მის მიერ ქართული ისტორიული წყაროების კრიტიკული მეთოდოლოგიით განხილვამ ვითარება შეცვალა. მან მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახლებურად გაიაზრა საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები და შთამომავლობას დაუტოვა უნიკალური მემკვიდრეობა. ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის საკითხებს. მან კრიტიკულად განიხილა ანდრია პირველწოდებულის და წმიდა ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობის, ქართული ეკლესიის ავტოლეფალიის, კავკასიაში დიდი საეკლესიო განხეთქილების, ქართულ ეკლესიაში მირონის მომზადების, საქართველოს ერთიან ეროვნულ-ეკლესიურ ცნობიერებაში ეკლესიის როლი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრობლემები შუა საუკუნეებში. მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობაზე, საქართველოს ეკლესიაში დემოკრატიულ ტენდენციებზე, რაც უჩვეულო მოვლენა იყო იმდროინდელი მსოფლიოსათვის. მისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა იყო აუცილებელი, ამიტომ უარყოფითად აფასებდა რუსეთის სინოდის ტყვეობის 106 წლოვან პერიოდს და ქართველ სასულიერო პირებთან არტად აქტიურად იბრძოდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

მეთოდი

სტატია ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ასევე, ემპირიული მასალის კრიტიკულ ანალიზს.

შედეგები

1. სტატიაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო პუბლიკაციები, რომელიც ეძღვნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტუალურ პრობლემებს, მოციქულთა მოღვაწეობის, ავტოკეფალიის, ასურელ მამათა მოღვაწეობის, ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხები.

2. ნაჩვენებია მეცნიერის მიერ გაწეული შრომა საქართველოში სამონასტრო ცხოვრების თავისებურებების შესახებ, რომელმაც პირველ ეტაპზე გაიარა მეუდაბნეობის და ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფის, ხოლო შემდეგ ცხოვრება და მოქალაქეობა, რაც ამქვეყნიურ ღვაწლს,

აღმშენებლობაში მონაწილეობას გულისხმობდა.

3. განხილულია ეკლესიისა და საახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრობლემები შუა საუკუნეებში.

4. ნაჩვენებია მეცნიერის დამოკიდებულება საეკლესიო სეპარატიზმის მოსურნე მეფე-მთავართა და სასულიერო პირთა მიმართ და ეს ქმედება შეფასებულია უარყოფითად.

5. შესწავლილია მეცნიერის როლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლაში, განსაკუთრებით 1906-1917 წლებში.

მსჯელობა და დასკვნები

მეოცე საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს. მისი დამოკიდებულება პირუთვნელი და უკომპრომისო იყო, მაგრამ ხშირად თავის პირველ ნაშრომებში ივანე ჯავახიშვილი გამოირჩეოდა ქართული საისტორიო წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულებით, რაც საერთო ტენდენცია იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისათვის. ამ ფაკულტეტის წამყვანი პროფესურა ახმოვანებდა რუსეთის იმპერიის ძირითად სულისკვეთებას, რომელიც მიზნად ისახავდა დაპყრობილი კავკასიის ხალხების ისტორიის, ლიტერატურის, მათი იდენტობის დამცირება-გაფერმკრთალებას. როდესაც ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, იქ მის მეცნიერულ წრთობას წარმართავდა პროფესორი ნიკო მარი, რომელიც განაწყენებული იყო ქართველებზე, ვინაიდან თავის დროზე იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტში არ დატოვა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა. სამაგიეროდ მას დახმარების ხელი გაუწოდა პროფესორმა ქეროპე პატკანოვმა. პატკანოვი თავისი მეცნიერული მსოფლმხედველობით მხითარისტების კონგრეგაციის სულისკვეთებას იზიარებდა. ის თავის ნაშრომებში კავკასიური ცივილიზაციის შემქმნელად სომეხ ერს მიიჩნევდა, მრუდე სარკეში წარმოაჩენდა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს. განსაკუთრებულ უნდობლობას უცხადებდა „ქართლის ცხოვრებას“ და მის ავტორებს. ახალგაზრდა ნიკო მარიც ქართული საისტორიო წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და თავის მოწაფე ივანე ჯავახიშვილსაც ამ სულისკვეთებით წვრთნიდა. ნიკო მარის რჩევით, 1898 წელს, ივანე ჯავახიშვილმა დაწერა ნაშრომი „ანდრია მოციქულის და წმიდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“. ამ ნაშრომში ახალგაზრდა მეცნიერმა გვიანდელ თქმულებად მიიჩნია ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივი საქმიანობა საქართველოში. იგი აღნიშნავდა, რომ მეცხრე საუკუნემდე ქართველებმა არ იცოდნენ წმიდა ანდრიას იბერიაში ქადაგებრივი მოღვაწეობის შესახებ, რომ ქართველთა წინაპრები ამ საკითხის გამოძიებას, თუ რომელმა მოციქულმა გაავრცელა ქრისტიანობა

საქართველოში, შეუდგნენ მაშინ, როდესაც ანტიოქიის პატრიარქი ქართულ ეკლესიას თვითმმართველობას ანიჭებდა. მან დაადგინა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველი ცნობა წმ. ანდრიას საქართველოში ქადაგების შესახებ დაცულია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ამსახველ თხზულებაში (მეთერთმეტე საუკუნე). . . „ის გარემოება, რომ უძველესი ბიზანტიელი და ლათინთა საეკლესიო მწერლები (ორიგენი, ეკხერი) ანდრიას პონტოში ქადაგების შესახებ არას ამბობენ, პავლეს ეპისტოლეებსა და „საქმე მოციქულთა“-ში კრინტიც არ არის დაძრული პირველწოდებულ ანდრიას ქადაგებრივ მოღვაწეობაზე, რადგან თვით „მიმოსვლის“ შინაარსს ზღაპრული სახე აქვს და არაკს უფრო მოაგონებს კაცს. . . დასასრულ, ის გარემოება, რომ არც თვითონ საქართველოში იცოდნენ მერვე-მეცხრე საუკუნემდე ანდრიას იბერიაში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრია პირველწოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში, საზოგადოდ, და, კერძოდ, საქართველოში, რომ ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებაა, ისეთი თქმულება, რომელსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“ (ჯავახიშვილი, 1998: 51) ივანე ჯავახიშვილმა ასევე დაწვრილებით განიხილა წმიდა ნინოს ცხოვრების ყველა ვერსია და დაასკვნა, რომ „შატბერდისეული ნინოს ცხოვრებაც ეკუთვნის სწორედ ფსევდოეპიგრაფიკულ მწერლობას“. (ჯავახიშვილი, 1998: 43).

იმ დროს, როდესაც ქართულ საზოგადოებაში საქართველოს ისტორიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჩვენი ეკლესიის განსაკუთრებულობას, მის მოციქულებრივ წარმომავლობას, ივანე ჯავახიშვილის ზემოხსენებული გამოკვლევა მიჩნეულ იქნა ქართველი ერის წინააღმდეგ მიზანმიმართულ მტრობად. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე. უფრო მეტიც, იგი 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ კიდევ უფრო შორს წავიდა, მკაცრად დაგმო საქართველოს ისტორიისადმი ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მიდგომა. „მისი აზრით, „მამულიშვილი“, ანუ სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი ის კი არ იყო, ვინც გაზვიადებით აშუქებდა მშობლიური ქვეყნის წარსულს, არამედ ის, ვინც მას მიუდგომლად სწავლობდა, აწმყოს უკეთესი წარმართვის მიზნით უყურებდა ისტორიას, რომ კონკრეტული ეპოქისათვის შესაბამისი დასკვნები გამოეტანა და აქტიური ბრძოლა გაეჩაღებინა. თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლის უფლება ჰქონოდა ყველა ხალხს, განურჩევლად მისი ისტორიული წარსულისა. რომელიმე დაპყრობილი ხალხის წარსული ბრწყინვალეც რომ ყოფილიყო, ამ „სილამაზის“ გულისათვის დამოუკიდებლობას არავის არ მისცემდნენ. ამდენად, წარსულის გაზვიადება, მისი შეფერადებულად წარმოდგენა და, ამასთან ერთად, პეტიციების წერა პრივილეგიების მოსაპოვებლად, ავნებდა არა მარტო მეცნიერებას, არამედ ადუნებდა აქტიური ბრძოლის უნარიანობას“. (ჯავახიშვილი, 1998:8).

ახალგაზრდა მეცნიერის ეს განაცხადი ამსხვრევდა ადრეული და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის გააზრების იმ სქემას, რომელიც ძირითადად ქართლის ცხოვრებას ეყრდნობოდა. მან უარყო იმ ქართველი მეცნიერებისა და სასულიერო პირების პოზიცია, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა საეკლესიო მწვალებლობა. „მაშინ მეცნიერს უნდა ეთქვა, რომ ან ქართველებმა მხოლოდ გარეგნობით, ზედაპირულად შეითვისეს ქრისტიანობა და იმის შინაარსსა, ამა თუ იმ დოგმატის სხვადასხვა ახსნაზე, რომელზედაც მთელი ქრისტიანობა კამათობდა ხოლმე, სრულებითაც არა ფიქრობდა. . . ნამდვილად კი სულ სხვანაირი იყო ჩვენი წარსული: სარწმუნოებრივი, საეკლესიო და სამონასტრო ბრძოლა, გაცხარებული კამათი ხშირად ყოფილა ხოლმე საქართველში, სწორედ ამ ბრძოლას არაერთხელ გაუცოცხლებია და განუახლებია ჩვენი ეკლესია“(ჯავახიშვილი, 1998:70).

ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი მხარს უჭერდა ნიკო მარის მეცნიერულ შეხედულებებს, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებისათვის ტენდენციური და მიკერძოებული იყო. თუმცა იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ რეალურად დაპირისპირებოდნენ ნიკო მარს და ივანე ჯავახიშვილს. ივანე ჯავახიშვილმა სრულიად ახლებურად გაიაზრა საქართველოს ისტორია და იქ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. მან კვლავ არაერთხელ გაიმეორა 1898 წელს წმიდა ნინოს მოციქულებრივი საქმიანობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება: „ჩემს პირველ სამეცნიერო შრომაში დაწვრილებითი კრიტიკული განხილვის შემდგომ დავრწმუნდი, რომ ყველა ეს ვითომცდა თვით ნინოს და მის თანამშრომელების მიერ ნაამბობი და ჩაწერილი მოთხრობები მარტო ყალბ-სათაურიან ანუ ფსევდოეპიგრაფიკულ თხზულებებად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ თვით შინაარსიც, რამდენადაც იქ ახალი ცნობები მოიპოვება ნინოს დედმამისა, მისი აღზრდისა და უმეტეს ნაწილად მოღვაწეობის შესახებ, ნდობის ღირსი არ არის, რათგან ყველა ეს ცნობები მერეა შეთხზული და ყალბია“(ჯავახიშვილი, 1977:106).

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიაში კიდევ ერთხელ დაუბრუნდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს. მან სხვადასხვა უცხოური და ქართული საისტორიო წყაროების, მეცნიერული გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე, დაასკვნა, რომ წმიდა ნინოს ცხოვრების სხვადასხვა რედაქცია წინააღმდეგობრივია, რომ ქართულ წყაროებში შეინიშნება მერმინდელი ინტერპოლაციები. მისი დასკვნით, „მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ქართულმა საისტორიო მწერლობამ და საეკლესიო მმართველმა წრეებმა წმ. ნინოს და ანდრია მოციქულის შესახები ცნობები. . . მთელი, სრულიადი საქართველოს გაქრისტიანების ამბად მიიჩნიეს. ნამდვილად ეს, რასაკვირველია, ასე არ ყოფილა, მაგრამ ცნობის ასეთი ასპარეზის გაფართოება და წმ. ნინოს მოღვაწეობის მნიშვნელობის განზოგადება ნაკარნახევია იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელიც ქართული ქრისტიანული კულტურის შექმნაში

პირველ ხანებში. . . აღმოსავლეთ საქართველოს ჰქონია. (ჯავახიშვილი, 1979:269).

ავტორმა დაადგინა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიახლოებითი თარიღი. მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ დასკვნებს ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე, როგორც საერო, ასევე სასულიერო წრეებში, პირველ-მეოთხე საუკუნეების საქართველოს ისტორიის ასეთი სრულყოფილი კვლევა, რომელიც ეყრდნობოდა მრავალრიცხოვან უცხოენოვან წყაროებსა და გამოკვლევებს, მანამდე არ ჩატარებულა. ივანე ჯავახიშვილმა არ გაიზიარა ნიკო მარის თვალსაზრისი, რომელიც თვლიდა, რომ ქრისტიანობა სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში საბერძნეთიდან კი არა, არამედ აღმოსავლეთიდან შემოვიდა. მისი აზრით, „ყოველი ერი თავის ისტორიულ ცხოვრებაში ყველა მეზობლებისაგან ითვისებს ხოლმე. კულტურული გავლენის წინააღმდეგ არავითარი შემაფერხებელი გარემოება არ არსებობს, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დაბრკოლებისა და შეზღუდულობის გარდა, ხოლო რაკი საქართველოში იმნაირი არც პოლიტიკური და არც ფსიქოლოგიური დაბრკოლება არ არსებობდა, ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული მწერლობის საქართველოში ძლიერი გავლენის უარყოფისათვის არავითარი არც ლოგიკური, არც ისტორიული საბუთი არ მოიძებნება. “(ჯავახიშვილი, 1979:336).

იგი ვრცლად შეეხო მეოთხე-მეშვიდე საუკუნეებში საეკლესიო წყობილების საკითხს საქართველოში. მისი დაკვირვებით, უკვე მეოთხე საუკუნეში სამღვდელოება შედგებოდა დიაკონის, არქიდიაკონის, სჯულის მეცნიერის და ხუცესისაგან, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოზები. ვახტანგ გორგასლის დროს კი ეკლესიას კათალიკოზი ჩაუდგა სათავეში. მეექვსე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში 33 საეპისკოპოსო იყო. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ გიორგი მთაწმინდელის, ხოლო შემდეგ ეფრემ მცირის დროს, ქართულ ეკლესიას საბოლოოდ დაუკანონებია ის თვალსაზრისი, რომ: „რაჟამს ერთგზის (ქრისტიანობა) გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“-ო“[8] (გიორგი მთაწმინდელი). „არს-მცა და ჰგიეს მარადის საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა მისისა (ე. ი. ქრისტესი) ვიდრე მოაქომამდე უცვალებლად დაცვული ნათესავი ჩუენი-ო“ (ჯავახიშვილი, 1979:343).

მაგრამ მწვალებლობა ისევე, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიც იყო გავრცელებული. ასეთები იყო მანიქეველობა, ნესტორიანელობა, მონოფიზიტობა. მრავალრიცხოვანი ურთიერთსაწინააღმდეგო წყაროებისა და გამოკვლევების დაწვრილებითი განხილვის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილმა უარყო ნიკო მარის, კორნელი კეკელიძის, ნიკოლოზ ადონცის თვალსაზრისი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ იერარქიულად ქართული ეკლესიის სომხურზე დამოკიდებულების შესახებ. მეშვიდე საუკუნის ცნობილი საეკლესიო პოლემიკის დროს „მიწერ-მოწერიდან ნათლად ჩანს, რომ სომეხთა კათალიკოსი და ქართველთა კათალიკოსი ერთმანეთს თანასწორად

თვლიდნენ და იქ არავითარი ნიშანი ან კვალი არ ემჩნევა, რომ ქართველთა მწყემსმთავარი ოდნავად მაინც სომეხთა ეკლესიის საჭეთმპყრობელისაგან იერარქიულად დამოკიდებული ყოფილიყო". (ჯავახიშვილი, 1979:367).

ივანე ჯავახიშვილი მიქაელ მთავარეპისკოპოსსა და ვახტანგ გორგასალს შორის დაპირისპირების მიზეზად მონოფიზიტობა-დიოფიზიტობას შორის არსებულ განსხვავებას და შეურიგებლობას მიიჩნევდა, და თვლიდა, რომ ანტიოქიის საპატრიარქოდან მიქაელის ნაცვლად პეტრე კათალიკოზის გამოგზავნა იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროს ხსენებული საპატრიაქო მონოფიზიტებს იწყნარებდა და ისეთი მკაცრი არ იყო მათთან დამოკიდებულებაში, როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. მისი დასკვნით, „ვახტანგ გორგასალისაგან საქართველოში კათალიკოსობის დაწესება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესებად უნდა ვიგულისხმოთ". (ჯავახშვილი, 1979:384).

ავტორმა დაადგინა კათალიკოსობის დაწესების მიახლოებითი თარიღი (472-482 წ. წ.), მეხუთე-მერვე საუკუნეებში ქართლის კათალიკოზთა ვინაობა და მამამთავრობის ქრონოლოგია. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ასურელი მამები საქართველოში ერთ დროს არ უნდა მოსულიყვნენ. პირველი დავით გარეჯელი მოსულა, შემდეგ - იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებით მეექვსე საუკუნის შუა ხანებში. მან არ გაიზიარა პროფ. კორნელი კეკელიძის თვალსაზრისი ასურელ მამათა მონოფიზიტობისა და ეროვნებით ქართველობის შესახებ და აღნიშნა: „იოანე ზედაზნელის მეთაურობით მოსული ასურელი მამები არამცთუ მონოფიზიტები არ ყოფილან, არამედ სწორედ მონოფიზიტობის დაუძინებელი მტრები იყვნენ. "(ჯავახიშვილი, 1979:415).

ივანე ჯავახიშვილმა ქართული და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე შეისწავლა კავკასიაში დიდი საეკლესიო პოლემიკის ყველა დეტალი, რაც ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი განხეთქილებით დასრულდა მეშვიდე საუკუნეში. ამ საკითხს მიეძღვნა 1908 წელს რუსულ ენაზე დაწერილი მისი გამოკვლევა „საეკლესიო განხეთქილების ისტორია საქართველოსა და სომხეთს შორის მეშვიდე საუკუნის დასაწყიში", რომელშიც ქართული და სომხური საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, დეტალურადაა განხილული ამ უთანხმოების პოლიტიკური და რელიგიური მოტივები. დიდი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ „ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისა, თუ განხეთქილების საკითხი არსებითად იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოსავლეთის, სპარსეთის საეკლესიო ტრადიციასა და მოძღვრებას მიემხრობოდა საქართველო, თუ დასავლეთისას, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას" (ჯავახიშვილი, 1979:424).

საქართველომ ამ ნაბიჯით არა მარტო რელიგიურ-დოგმატური არჩევანი გააკეთა, არამედ პოლიტიკურიც. საეკლესიო პოლემიკაში შემოიჭრა ეროვნული ელემენტიც. არცერთი მხარე კომპრომისზე არ მიდიოდა, რაც 608 წელს სრული განხეთქილებით დასრულდა. „ამიერიდან ქართველთა და სომეხთა შორის ის სარწმუნოებრივი კავშირიც გაქრა, რომელიც წინათ მათ აერთებდათ და ასე თუ ისე აძლიერებდათ: პოლიტიკურ-კულტურული

გეზისა და სიმპათიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდნენ“- აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1979:428).

მეცნიერის დაკვირვებით, ქართული ეკლესიის სიძლიერეს მისი სიწმიდე და სულიერების მაღალი ხარისხი განაპირობებდა. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ დიდი სამონასტრო მოძრაობა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, „იმ დროს ბერები მართლაც გაურბოდნენ „მაცდურს“ ქვეყანას, სიმდიდრეს და კერძო საკუთრებას, რომელიც ყოველგვარი სიბოროტისა და უსამართლობის დედაბუდედ მიაჩნდათ: სრული სიგლახაკე, უპოვარებაი და საკუთარი შრომით პურის ჭამა, ზნეობრივი სისპეტაკე და განვითარება მათს დაუცხრომელს მისწრაფებას შეადგენდა“ (ჯავახიშვილი, 1983:117).

მეცნიერი დიდ შეფასებას აძლევდა შავშეთ-ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის და მისი მოწაფეების მიერ დაწყებულ სამონასტრო მშენებლობას, რომელთაც საქართველოს ეს მიტოვებული ისტორიული მიწა-წყალი გამოაცოცხლეს და დიდ სულიერ საგანმანათლებლო ცენტრად აქციეს. მაშინდელი ეკლესია, სასულიერო დასი იმდენად მაღლა იდგა ზნეობრივ-სულიერი ცხოვრების თვალსაზრისით, რომ თავს უფლებას აძლევდა, საერო ხელისუფლებისათვის მიეთითებინა და ზოგჯერ მკაცრადაც მოეთხოვა ქრისტიანული მორალის დაცვა. ამ მხრივ თუნდაც აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის დაპირისპირების მაგალითიც კმარა, როდესაც მოღვაწე ბერმა არ აპატია მეფეს სიძვის დიაცის ყოლა, წაართვა იგი და მონასტერში გადაიყვანა. ივანე ჯავახიშვილი ქართული ეკლესიის წარმატებად მიიჩნევდა 843-859 წლებს შორის პერიოდში მირონის ადგილზე მომზადების უფლების მიღებას და იერუსალიმის საპატრიარქოს დამოკიდებულებისაგან საბოლოდ გათავისუფლებას. ქართული ეკლესიის ავტორიტეტს აძლიერებდა ბიზანტიაში ფართოდ გავრცელებულ ხატმებრძოლობაზე უარის თქმა და ძველი წესების დაცვა.

ივანე ჯავახიშვილი ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების შემუშავება-განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით გამოყოფს გიორგი მთაწმინდელის როლს, რომელმაც საქართველოში დაბრუნებისთანავე მკაცრად ამხილა საერო და სასულიერო ხელისუფლებაში არსებული ნაკლოვანებანი. „რაკი გიორგი მთაწმინდელი დარწმუნდა, თუ სად იყო ქართული ეკლესიის უმთავრესი წყლული. . . საეპისკოპოსო ტახტი უმეტეს შემთხვევაში „უწესოთა და უსწავლელთა (რასაკვირველია ღვთისმეტყველებაში) და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა. ..მიმოსვლათა შინა აღზრდილთა“ ხელში გადადიოდა; გიორგი მთა-წმინდელს საჭიროდ მიაჩნდა, რომ მეფეს საეპისკოპოსოების „გაყიდვა“ ამოეკვეთა და შელახული საეკლესიო მსოფლიო კრებების და მოციქულთა კანონები აღდგენილი ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი, 1983:189).

მეცნიერს განსაკუთრებით მოსწონს გიორგი მთაწმინდელის შეუ-პოვრობა, როდესაც საქმე ეხებოდა მღვდელმთავრების მომხვეჭელობის მხილებას, გაჭირვებული თანამემამულეების მიმართ ნაკლებ სოლიდარობას. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს: გიორგი მთაწმინდელი „ამის გამო იმასაც-კი არ შეუშინდა და ეპისკოპოსებს აფრთხილებდა ეკლესიათა გამშვენიერებასა

და შემკობაზე ბევრ ფულს ნუ ხარჯავთო; როდესაც ცხოველი ეკლესია, ხალხი, გაჭირვებაში იყო, გლახაკთა დახმარება, დავრდომილთა წამოყენება და შეწყალება უნდა ყოფილიყო მოძღვართა საზრუნავი და არა ეკლესიათა შემკობა. აი, მაგ. რა უთხრა ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ერთს ეპისკოპოზს, რომელიც „მდიდარი ფრიად და წარჩინებული“ იყო და იმაზე ზრუნავდა მარტო, რომ „სიმდიდრითა საფასეთა თვისთა ეკლესიანი შეამკუნეს და განაშუენნეს და რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას, და ამით მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თვისსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა“: მეუფეო, ეს შენი საქციელი ეშმაკის მანქანებითა და შთაგონებით არის ნაკარნახევი, “ „ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს“, ეშმაკი გაცდუნებს და მას უნდა „რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყლობასა შინა მოგკლა“. რომ ეს ღვთისნიერი საქმე-კი არ არის, არამედ ეშმაკის-მიერი ცხადია (ჯავახიშვილი, 1983:189-190).

გიორგი მთაწმინდელის ასეთი გაბედული გამოსვლა, ნაკლოვანებათა მხილება, ქართული ეკლესიის გაჯანსაღებისათვის უკომპრომისო ბრძოლა შემდგომში დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „საშუალო საუკუნეებში შეუძლებელი იყო ამ საგანზე ამაზე უფრო გაბედულის, ზნეობრივად სპეტაკისა და მომხიბლავის აზრის გამოთქმა“ (ჯავახიშვილი, 1983:190).

დიდი მეცნიერი დავით აღმაშენებლის, როგორც მეფე პოლიტიკოსის, წარმატების ერთ-ერთ მიზეზად საეკლესიო წეს-წყობილების ცვლილებას მიიჩნევს. მისი დაკვირვებით, „რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ. . . გადააყენა უღირსნი მღვდელმთავარნი მთვარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა. “(ჯავახიშვილი, 1983:213).

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწიგნობართუხუცესის სახელოს ჭყონდიდელისათვის შეთავსებას. ამით მეფეს უნდოდა „საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და ჩარევის კანონიერი უფლება და საშუალება ჰქონოდა. როგორც ეკლესიის წევრს, მას ეცოდინებოდა, რაც-კი ეკლესიაში ხდებოდა. ყველა საეკლესიო საკითხები, რომელიც მთავრობასა და მეფეს უნდა მოჰხსენებოდა, სწორედ მწიგნობართ-უხუცესის პირით უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ამგვარად, მწიგნობართ-უხუცესი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო ეკლესიაში და ეკლესიისა მთავრობაში“- დასძენს ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1983:350).

დიდი მეცნიერი აღფრთოვანებულია დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს რჯულშემწყნარებლობით, რომელიც ემყარებოდა მეფის მრავალმხრივ განათლებას და სარწმუნოებრივ საკითხებში შუა საუკუნეებისათვის უჩვეულო, გაბედულ, თავისუფალ აზროვნებას. საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირის ასეთი ქმედება განპირობებული იყო იმ ურთულესი საგარეო ფაქტორების ღრმა ანალიზით, რომელიც მაჰმადიანთა მეზობლობისა და აგრესიის პირობებში ქვეყნისათვის აუცილებელი იყო. აქაურ მაჰმადიანებს ისე უნდა ეგრძნოთ

თავი ქართულ სამეფოში, რომ არ გასჩენოდათ ღალატის და ორგულობის სურვილი. დავით აღმაშენებლის ასეთი პოლიტიკა არ ნიშნავდა იმას, რომ ვინმეს ეჭვი შეეტანა მეფის მართლმადიდებლურ მრწამსში. ამის დასტურია მისი „გალობანი სინანულისანი. " მეფის დიდი მცდელობით, ქართველებმა წმიდა მიწაზე ის მწვერვალიც დაიკავეს, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, უფალი მოსე წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა და ათი მცნება მისცა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, აქ ქართული მონასტრის აგებას რელიგიურთან ერთად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. რელიგიურ-დოგმატურ საკითხებს სიფრთხილით ეკიდებოდნენ გიორგი მესამე და თამარ მეფე, მიუხედავად იმისა, რომ თამარ მეფის დროს ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების მცდელობა იყო. საერო ხელისუფლებას არავითარი ზეწოლა არ მოუხდენია სომხებზე, რათა ისინი აუცილებლად გადასულიყვნენ მართლმადიდებლობაზე. ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწისა და ფილოსოფოსის - მხითარ გოშის მემორანდუმზე, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიმართა საქართველოს საერო ხელისუფლებას და აღშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ მთავრობა ერთნაირ გადასახადებს უწესებდა როგორც ქრისტიანებს, ასევე მაჰმადიანებს. მეცნიერის ვარაუდით, „მხითარ გოში. . . იყო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი სომეხთა ეკლესიის უკიდურესი კონსერვატორული წრეებისა, რომლებიც ქადაგებდნენ მხეცურ იდეებს ამ ორი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ეკლესიის ურთიერთ განცალკავებისა და ზიზღის შესახებ. . . ერთი სიტყვით, მხითარ გოშსა და მის თანამოაზრეებს სურდათ, რომ საქართველოს მთავრობას ეწარმოებინა არა სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ თავის საქმიანობაში ეხელმძღვანელა მხოლოდ კონფენსიური პრივილეგიების პრინციპით, შურისძიების გრძნობით და თავისი ქვეშევრდომი მაჰმადიანების დევნულებით" (ჯავახიშვილი, 1983:416).

მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ არ გაიზიარა მისი ასეთი რადიკალიზმი. ეს კარგად გამოჩნდა დვინის სასამართლოზე, სადაც ორი სომხური მონასტერი ერთმანეთს ედავებოდა ძვირფასი ჯვრის კუთვნილებაზე. სასამართლოს წევრებად სომეხი სასულიერო პირების გარდა, მართლმადიდებელი და მუსლიმი სასულიერო პირების მონაწილეობა იმის მანიშნებელი იყო, რომ „საქართველოს უმაღლესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ იმაზე მიუთითა, რომ ასეთი საქმეების გარჩევის დროს ის არ თვლის საჭიროდ ანგარიში გაუწიოს კონფენსიურ განსხვავებებს, რომ ასეთ შემთხვევებში ქრისტიანები და მაჰმადიანები თანასწორნი არიან და რომ ის მთავარ მნიშვნელობას აკუთვნებს ცოდნასა და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის კაცი" (ჯავახიშვილი, 1983:417)- დასძენს ივანე ჯავახიშვილი.

მონღოლთა ბატონობის ჟამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, სასულიერო წოდება დიდი გამოცდის წინაშე დადგა. ბარბა-როსი დამპყრობლების სულის შემხუთავმა გადასახადებმა მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. სამწუხაროდ, სასულიერო პირთა ნაწილმა შემცირებული შემოსავლის გაზრდა გაღატაკებული მოსახლეო-ბისათვის საეკლესიო წესების მისაცემელი გასამრჯელოს გაორმაგებით

სცადა, რამაც სასულიერო წოდებასა და მოსახლეობას შორის სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა. ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს დმანისის ეპისკოპოსის მიერ ადგილობრივი ეკლესიის კარიბჭეზე გაკეთებული წარწერა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რა რთული ვითარება იყო შექმნილი ეკლესიაში. მორწმუნეებს „უმეყვისოთა, უბრალოთა, ქალ-ყრმათა, მამა-დედათა არ მოუშვებდეს, ვიდრე ოქროსა არ აიღებდეს-ო“ (ჯავახიშვილი, 1982:67).

ეკლესიის უმაღლესი სასულიერო იერარქები - კათალიკოზი, ეპისკოპოსები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ სასულიერო პირების ეს მიდრეკილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ. უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ მოსახლეობას კიდევ უფრო რადიკალური ნაბიჯებისაკენ უბიძგა. მონღოლთა ბატონობის დროს მათ დაიწყეს წინაპრებისაგან ეკლესიისათვის შეწირული ქონების უკან გამოწირვის პროცესი, რასაც სასულიერო წოდებამაც უკიდურესი სასჯელით უპასუხა: გაორგულებულ მრევლს უზიარებლობით, შერის-ხვით და შეჩვენებით დაემუქრა. 1263 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე იმაზეც მსჯელობდნენ, რომ თუ შეწირული მიწების გამოწირვის პროცესი გაგრძელდებოდა, სასულიერო წოდება უარს იტყოდა ყველა საეკლესიო წესის აღსრულებაზე და ეკლესიიებსაც დაკეტავდნენ. მაგრამ ამ ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და კიდე უფრო გამწვავდა ურთიერთობა საერო და სასულიერო წოდებათა შორის. ამ არასასურველ პროცესებს ჰქონდა თავისი გაგრძელება. სასულიერო იერარქებმა თავინთი დამარცხების მიზეზები საკუთარ ქმედებებში კი არ ეძიეს, არამედ დააბრალეს ბასილი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რომელიც უსაფუძვლო ჭორების მსხვერპლი შეიქმნა. იგი სიკვდილით დასაჯეს. ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას მიაპყრობს ჟამთააღმწერლის შემდეგ ცნობას: „დასჯილ იქმნა „რამეთუ იყო მეფე მალემორწმუნე და ლიტონიცა“- ო (ჯავახიშვილი, 1982:83).

მონღოლთა ბატონობის პერიოდში არაერთი მედროვე აღზევდა საქართველოს სამეფოს კარზე, რომელთაც თავიანთი მოხერხებით სიმდიდრეც მოიხვეჭეს და ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპებიც უგულებელყვეს. დასუსტებული ეკლესია ცდილობდა დაეცვა თავისი ინტერესები, დაეცვა ეროვნული ტრადიციები, რომელნიც ქრისტიანული სარწმუნოების ღირებულებებზე იყო დაფუძნებული, მაგრამ ამას ვეღარ ახერხებდა. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ ეხება დემეტრე მეორის კარზე აღზევებულ სადუნ მანკაბერდელს, რომელმაც, მონღოლური წესისამებრ, მრავალცოლიანობა მოიწონა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. საქართველოს კათალიკოზმა ნიკოლოზმა ჯერ მისი შეგონება სცადა, მაგრამ რაკი სასურველი შედეგი ვერ მიიღო, „მერმე შეჩვენებითაც-კი სცადა აელაგმა და მრავალცოლიანობა დაეშლევინებინა, მაგრამ კათალიკოზის ყოველი ცდა ამაო გამოდგა: სადუნთან მან ვერა გააწყო რა. ისტორიკოსი უზენაესი მწყემსმთავრის სრულს უძლურებას არ მალავს: „მძლავრებისაგან სადუნისა ვერ უძლო განყენებადო“ (ჯავახიშვილი, 1982ა:101).

ქართული სახელმწიფოს ძლიერება განსაზღვრავდა საქართველოს ეკლესიის ძლიერებასა და საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის ზრდას.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის წარმატებებს უკავშირებს გიორგი ბრწყინვალის საქმიანობას, რომელმაც მაჰმადიანთაგან წართმეული და მიზგითად ქცეული სალოცავი დაიბრუნა. გარდა ამისა, ეგვიპტის სულთანმა გააუქმა იერუსალიმში ქრისტიან მლოცველთა დამამცირებელ ვითარებაში შესვლის ბრძანება. „ქართველებმა, წართმეული ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალემისანი“ და საქართველოს გამარჯვებული დესპანები მივიდნენ „საფლავსა ქრისტესსა“ (ჯავახიშვილი, 1982ა:176-177) - დასძენს ივანე ჯავახიშვილი.

მეთხუთმეტე საუკუნის 50-90-იან წლებში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერს იმ არასასურველ პროცესებზე, რომლებიც თან ახლდა ქვეყნის დაშლას. განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში სეპარატისტული ტენდენციების გაღრმავება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები სამცხის მთავრებმა გადადგეს, მაგრამ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ენერგიული ნაბიჯები გადაუდგამს სამცხის მთავრების უკანონობის აღსაკვეთად. საფარაში მოწვეულ კრებაზე კათალიკოზს მეამბოხე სასულიერო პირები შეუჩვენებია, რომელთაც მოუნანიებიათ თავიანთი ქმედება. მათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის ფიცისა და ერთგულების ხელწერილი მიუცია. „აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილადმდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ“. (ჯავახიშვილი, 1982ა:282). ამის გარდა, მესხეთის სამღვდელოება პირობას დებდა, რომ ამიერიდან არასოდეს არ შეიწყნარებდა ანტიოქიელი მღვდელთმთავრის მაცდურ ქადაგებებს. „ამგვარი ვინმე სხვა დროს არც „შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ“. (ჯავახიშვილი, 1982ა:282-283).

აღწერს რა ამ დრამატულ ისტორიას, დიდი მეცნიერი პატივისცემით იხსენიებს საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური ერთიანობისათვის მებრძოლ მცხეთის საკათოლიკოზოს: „უეჭველია ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის თანაგრძნობა მაშინაც, როდესაც ეს ბრძოლა წარმოებდა, ქართული ეკლესიის მწყემსთ-მთავრის მხარეზე იქნებოდა და ეხლაც, საუკუნეთა შემდგომაც, საქართველოს კათალიკოსთა ეს მედგარი ცდა საქართველოს განხეთქილებისა და განკერძოების პროცესის შესაჩერებლად მშვენიერი მიმზიდველობით მოსილ ბრძოლად გვეხატება. განა ქართველი ერისათვის მართლადაც დამღუპველი არ უნდა ყოფილიყო მესხეთის ეკლესიის წადილი და მცდელობა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოსაშორებლად?“ (ჯავახიშვილი, 1982ა:283). დასძენდა ივანე ჯავახიშვილი.

საქართველოს ეკლესიის ერთიანობას სერიოზული ზიანი მიაყენეს განკერძოების მოსურნე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა, რომელთაც გამოიყენეს ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხეილის დასავლეთ საქართველოში შეწირულების ასაგროვებლად მოგზაურობა და

მოსთხოვეს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისაგან გამოყოფის კანონიკური საფუძვლებით დასაბუთება. მეცნიერი დაწვრილებით სწავლობს ანტიოქიელი სტუმრის ყველა ქმედებას, მის მიერ ძველ სიგელ-გუჯართა და დავთართა მოძიებას, რათა მიაგნოს ისეთ დოკუმენტებსაც, სადაც ნათლად იქნებოდა ნაჩვენები, რომ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზები ანტიოქიის პატრიარქისაგან იკურთხებოდნენ. ამის შემდეგ მას შესაძლებლობა ექნებოდა „ქართული ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და შეშლილ წესად უნდა გამოეცხადებინა. "(ჯავახიშვილი, 1982ბ:337).

მეცნიერის აზრით, იმ დროს შედგენილი დოკუმენტის „მცნებაი სასჯულო"-ს მიხედვით, ანტიოქიის პატრიარქს ჰქონდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კურთხევის უფლება, რაც არასწორი იყო. „ქართული ეკლესია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებელი იყო და თვითმწყსობის უფლებით იყო მოსილი: საკათალიკოსოდ არჩეულს მღვდელმთავარს ქართული ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებული აკურთხებდა ხოლმე და არც ერთს უცხო ეკლესიას, არც ერთს მსოფლიო პატრიარქს ქართული ეკლესიის ამ თვითმწყსობაში ჩარევა არ შეეძლო" (ჯავახიშვილი, 1982ბ:338). ხოლო ლიხთ იმერეთის და აფხაზთა საკათალიკოსოს გამოყოფით „ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა ეს წესი „შეშლილად" სცნო და თითონ აკურთხა და დასვა ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად. ამით აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთი შეიქმნა. ამიტომაც არის, რომ მიხეილმა აფხაზეთის კათოლიკოსს თავის „მცნება"-ში უწოდა „მარჯუენაი იერუსალიმისა". ამგვარად და ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს" (ჯავახიშვილი, 1982ბ:338).

ამ სამწუხარო ფაქტმა საფუძველი დაუდო ერთიანი ქართული ეკლესიური და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოსპობას. იერუ-სალიმის პატრიაქ მიხეილის „არგუმენტი" აღმოსავლეთ საქართველოში წმიდა ნინოს და დასავლეთ საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივი საქმიანობის განსხვავებულობაზე იძლეოდა ამ ორი ეკლესიის განყოფის კანონიერ საფუძვლებს, იყო მავნებლობა, ვინაიდან „მთელი ეს მოქადაგეობა საქართველოს საუკეთესო მეცნიერ-მოღვაწეთა მიერ შემუშავებული და განმტკიცებული ისტორიული შეხედულების გასაცრუებლად იყო მოწყობილი. ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის შეგნებით გამსჭვალულნი, ამ აზრის ხალხში განმტკიცებისათვის მებრძოლნი გიორგი მთაწმინდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელნი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებდნენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა, " ხოლო შემდეგში დავიწყებული ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა

ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდნა ყოველი სავსებაი ყოვლისა ქართველთა ნათესავისაი“. . . ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალკე და განსაკუთრებული მქადაგებლის არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც არა ჰქონიათ, რათგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულს შემეცნებას სპობდა (ჯავახიშვილი, 1982ბ:340). - გულისტკივილით წერდა ივანე ჯავახიშვილი.

სამწუხაროდ, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, სამცხის მთავრის მზეჭაბუკის მმართველობის დროს, სამცხის ეკლესიაც ჩამოშორდა მცხეთას. მაწყვერელი ეპისკოპოსი კათალიკოზის ხარისხში აღზევდა. ეს დროებითი ეიფორია იყო. გაძლიერებული ოსმალები სწრაფად იპყრობდნენ სამცხის სამთავროს დიდ ნაწილს, დევნიდნენ მართლადიდებელ ქრისტიანებს. სამაგიეროდ, დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდნენ, ერთის მხრივ, კათოლიკე მისიონერებს, მეორეს მხრივ, ახლადშექმნილ სტამბულის სომხურ საპატრიარქოს. სამცხის მაგალითზე კარგად გამოჩნდა ქართველი ერის ტრაგედია -დაქსაქსულობა-დანაწევრების უმძიმესი შედეგები: სამცხეში უკიდურესად შევიწროებული მართლმადიდებელი ქართველების გვერდით გაჩნდნენ კათოლიკე, მონოფიზიტი და მაჰმადიანი ქართველებიც. ქართველი ერის სულიერი ერთიანობის გარანტის - საქართველოს ეკლესიის დაშლით დაიწყო ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში: „ქართული სამართლის ისტორია“. მან არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე დაადგინა ქართულ ეკლესიაში არსებული იერარქიული სისტემა: 1. წიგნის მკითხველი, 2. კერძო დიაკონი, 3. დიაკონი, 4. დედა-თდიაკონი, 5. ხუცესნი ანუ მღვდელნი, 6. ქორეპისკოპოსნი, 7. ეპისკოპოსნი, 8. მთავარეპისკოპოსნი, 9. კათალიკოზი. ასევე გვაჩვენა სასულიერო იერარქიის თითოეულ საფეხურზე რა უფლება-მოვალეობა ჰქონდათ მათ. მეცნიერის დაკვირვებით, მღვდელმთავრები სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო „ეპისკობოზნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა. . . „სწავლულებით და მეცნიერებითა“ განმტკიცებულნი. . . კაცთმოყვარეობით განთქმულნი. . . ობოლთა და ქვრივთა მოღვაწე“ (ჯავახიშვილი, 1984:16).

მეცნიერის დაკვირვებით, შუა საუკუნეების საქართველოში განსა-კუთრებული პატივით სარგებლობდნენ ჭყონდიდელის, იშხნელის, მაწყვერელის, ანჩელის, მტბევარის და გოლგოთელის კათედრის მღვდელ-მთავრები. ქართული ეკლესიის მეთაური მეთერთმეტე საუკუნის დასწყისიდან ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად იწოდებოდა, ხოლო რკონის სიგელის თანახმად, (1259 წ.)

- მსოფლიო პატრიარქთა თანასწორად. მეცნიერმა შეისწავლა ეკლესიის მსახურთაგან ხელისუფლების მიღების წესი და დაასაბუთა, რომ „ეკლესიის მსახურთა დანიშვნა და დადგინება კათალიკოზისა, ან ეპისკოპოზის პირად სურვილსა და ნებაზე კი არა ყოფილა დამოკიდებული, არამედ ამისათვის საქართველოში მღვდელთა, ეპისკოპოსთა და „ყოვლისა ერის“ თანხმობა, „წამება“ იყო საჭირო. ამგვარად, ცხადად ირკვევა, რომ საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეში ქართველ ერს თავისი უფლება ჰქონდა და მონაწილეობაც მიუღია“ (ჯავახიშვილი, 1984:19).

მისივე დაკვირვებით, უკვე მეცამეტე საუკუნიდან, დანამდვილებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საეპისკოპოსო და საკათალიკოზო კანდიდატი კურთხევამდე სვეტიცხოველში დებდა აღთქმას და ფიცს. მეცნიერისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო საეკლესიო ცხოვრებაში საერო ხელისუფლების ანგარებითი ჩართვა, ამიტომ იგი აკრიტიკებს მეფე ბაგრატ მეოთხეს, რომელიც ჰყიდდა საეპისკოპოსო სახელოებს და რომელსაც დაუპირისპირდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ“ იმისთვის, რომ „არა ჰყიდდეს საეპისკოპოზოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოველითურთ სოფლითა შემსჭვალულთა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონებათა შინა აღზრდილთა და ღვთივ-სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა“ (ჯავახიშვილი, 1984:27).

მეცნიერი, არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე, ასკვნის, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში თუ პირველ ეტაპზე მეუდაბნოეთათვის მთავარი იყო სულიერი ცხოვრება და უპოვრობა, გრიგოლ ხანცთელის დროს უკვე მეუდაბნოე ბერები დიდ ღვაწლში იყვნენ და გლახაკობა სამონასტრო ძმობის საკუთრებით შეიცვალა. აქ მოღვაწე ბერებს „საშობლოს წინაშე დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღოდათ: განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი და აღორძინებული არ არის? მაშინდელი მონასტერი უმაღლესი გონებრივი განვითარების სავანე იყო“ (ჯავახიშვილი, 1984:35).

მეცნიერმა დაწვრილებით შეისწავლა საქართველოში სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი, მონასტრების პირადი შემადგენლობა და მისი უფლება-მოვალეობები. მისი დასკვნით, მონასტრის ბერთა მთელი შემადგენლობა „ძმობას“ წარმოადგენდა. უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, ვაჰანის მონასტრის წესდებით, მონასტრის ძმობა სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: „პირველისა დასისა“ წევრებად მონასტრის მამასახლისი, ან წინამძღვარი, იკონომოსი და დეკანოზი ეკუთვნოდენ და ამათ გარდა აგრეთვე ის ბერები, რომელნიც „თავადთა ძმათა“, ან „უთავადესთა ძმათა“ სახელით იყვნენ ცნობილნი და დანარჩენებისაგან განირჩეოდნენ, რომელთაც მღვდლობის გარდა რაიმე თანამდებობაც ჰქონდათ. . . მეორე დასს მღვდლობის პატივის მქონებელი ბერები შეადგენდნენ. წესდებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხვაი სახმრობაი არაი შეეძლოს“. . . მესამე ჯგუფს „მწირნი“ შეადგენდნენ. . . რომელთაც არავითარი თანამდებობა არ ჰქონდათ (ჯავახიშვილი, 1984:40-

41).

მონასტერში მამასახლისი, ანუ წინამძღვარი განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდა და მისი ყველა განკარგულება უსიტყვოდ სრულდებოდა. მამასახლისს ჰყავდა თანაშემწენი: სამეურნეო ნაწილში „დიდი იკონომოსი“ და ორი დამხედვარი- ეპიტირიტი და მისი ქვეშემდგომი უმრწემესი, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ მონასტრის ბერ-მონაზვნების ყოფა-ქცევისათვის და დამრღვევი დაესაჯათ. მონასტრებს ჰყავდათ „მეკარეი მონასტრისაი“, რომელსაც ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა შემსვლელ-გამომსვლელნი. მონასტერში 2 დღით შეეძლოთ მიეღოთ სტუმარი, მესამე დღეს მას აუცილებლად უნდა დაეტოვებინა მონასტრის ტერიტორია. დიდ მონასტრებში სამეურნეო საქმეების გაძღოლა იკონომოსის მოვალეობა იყო. ის დიდ ძალაუფლებას ფლობდა და ზოგჯერ, მონასტრის მამასახლისის ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით არყოფნის დროს, მონასტრის მამასახლისის მოვალეობასაც ასრულებდა. მეცნიერის დაკვირვებით, სამონასტრო ცხოვრება მოითხოვდა გამართულ წესდებას - ტიპიკონს და მის განუხრელ შესრულებას. მონასტერში მკაცრად იყო განსაზღვრული მისი თითოეული წევრის უფლება-მოვალეობა. „განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამონასტრო ცხოვრებაში მოძღვარს. „მოძღვარი“ მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრითგან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობასა, მეცნიერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა (ჯავახიშვილი, 1984:50).

მეცნიერმა დაადგინა „მოძღვართ-მოძღვრის“, „დეკანოზის“, „ხუ-ცესის“, „მნათეს“ უფლება-მოვალეობანი. დიდ მონასტრებში ავადმყოფი ბერების მოსავლელად არსებობდა „სასნეულოი“ - საავადმყოფო, რომელ-საც განაგებდა „მესნეულეი“. მეცნიერის ვარაუდით, მეცხრე-მეათე საუკუნეებამდე ქართულ ეკლესია-მონასტრებში წოდებრიობა ჯერ კი-დევ არ იყო სასულიერო პირის დაწინაურების საფუძველი, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში ვითარება შეიცვალა და მონასტრებში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ერისკაცობაში მიჩვეულნი იყვნენ სიმდიდრეს და უპირატესობას, განცხრომით ცხოვრებას, რაც მონასტრის იდეალის სისპეტაკით და უცვლელად დაცვას საფრთხეს უქმნიდა. ამ ტენდენციის წინააღმდეგ იბრძოდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, მაგრამ ამ ბრძოლას უკვე სასურველი შედეგები არ ჰქონდა. „მონასტრები თავისი პირადი შემადგენლობის შთამომავლობის წყალობით არისტოკრატიულ დაწესებულებებად იქცენ“. (ჯავახიშვილი, 1984:63). სიმდიდრისა და ქონების მოხვეჭის დაუფარავი სურვილი გიორგი მთაწმინდელს საქართველოში ყოფნის დროს არაერთი სასულიერო იერარქის საქციელში დაუნახავს. მაშინ, როდესაც ხალხს უჭირდა, შიმშილობდა, ისინი განაგრძობდნენ ეკლესიების მშენებლობას და ძვირფასი ლითონებით შემკობას. განრისხებულ გიორგი მთაწმიდელს ერთ-ერთი ასეთი „მოღვაწე“ ეპისკოპოსისათვის პირდაპირ განუცხადებია: „მეუფეო, ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს, რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყლოებასა შინა მოგკლა,

რამეთუ არა თუ ამას გეტყვის ღმერთი, ვითარმედ „ეკლესიანი შეამკუენითო“, არამედ, რამეთუ „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი“, ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი“-ო (ჯავახიშვილი, 1984:65).

გიორგი მთაწმინდელის მცდელობა, ეკლესია უფრო ახლოს ყოფილიყო ხალხთან, სოლიდარული ყოფილიყო ხალხის გაჭირვების მიმართ და დახმარებოდა მათ, არისტოკრატ სასულიერო წოდებას არ მიუღია. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, გიორგი მთაწმინდელი იყო დიდი პიროვნება, რომელმაც სცადა საქართველოს ეკლესიაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, მაგრამ მან ვერ მიიღო ბაგრატ მეოთხის მტკიცე მხარდაჭერა და ხუთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ დატოვა საქართველო და კვლავ ათონზე დაემკვიდრა. მეცნიერი აღფრთოვანებულია შუა საუკუნეების აზროვნებისათვის სრულიად უჩვეულო მოვლენით, რაც ათონის და სხვა საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებში იყო დამკვიდრებული, სადაც მონასატრის წინამძღვარს არა მონარქიული წესით ნიშნავდნენ, არამედ ირჩევდნენ კენჭისყრით მთელი სამონასტრო ძმობა. „ეს გარემოება, - დასძენს მეცნიერი, - იმის მომასწავებელია, რომ მონასტერში რესპუბლიკური წესის შემოღებისთანავე არჩევით დადგენილი მამასახლისის ხელისუფლებაც ძალზე შეუმცირებიათ და უკვე საგრძნობლად შეზღუდული ყოფილა: ყოველი ცოტად მაინც მნიშვნელოვანი საკითხი მთელ კრებულს უნდა გადაეწყვიტა და მამასახლისი ამგვარი კრებულის დადგენილებათა აღმასრულებელი გამხდარა“ (ჯავახიშვილი, 1984:75-7).

მეცნიერის დაკვირვებით, სამწუხაროდ, მონასტრებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს ზეწოლას და იქ თანდათან დამკვიდრდა ამქვეყნიური სიამით ტკბობა, ქონების დაგროვების სურვილი. თუ თავიდან ისინი საკუთარი შრომითა და ოფლით მოიპოვებდნენ საარსებო სარჩოს, , ახლა უკვე გაუჩნდათ ყმები და მათ ამუშავებდნენ. ამით კი გადაუხვიეს იმ იდეალებიდან, რაც თავდაპირველ სამონასტრო ცხოვრებას ახასიათებდა.

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართული სახელმწიფოს წარმატება და წინსვლა ყოველთვის უკავშირდებოდა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ქართველი მეფეები. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეკლესიის მესვეურებს დიდი პოლიტიკური ამბიციები მოეძალებოდათ. ასეთ საშიშ ზრახვად მიაჩნდა მას თამარის მეფობის დროს მიქაელ კათალიკოზის მოქმედებები, რომელმაც მწიგნობართუხუცესობაც მიიტაცა. ამ ნაბიჯით მან მეფეზე მეტი ძალაუფლება მოიპოვა, რაც ქართული სახელწიფოებრიობისათვის დიდი მარცხი იყო. თამარ მეფის მცდელობა საეკლესიო კრების მეშვეობით მიქაელ კათალიკოზის გადაყენების შესახებ, მარცხით დასრულდა, რამაც გამოამჟღავნა თამარის და მისი მომხრე საერო ხელისუფლების სისუსტე.

ივანე ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილობრივი კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეაფასა მათი მნიშვნელობა. მანვე გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეებში „საქართველოს ეკლესიას, როგორც რომის ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და

წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც, მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც მოეპოვებოდა (ჯავახიშვილი, 1982:67).

მეცნიერმა საგანგებოდ შეისწავლა ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოებანი სასულიერო და საერო წრის წარმომადგენელთა შორის, რომლის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტია შემორჩენილი. თუ ჩვეულებრივი ერისკაცნი, მსხვილი მემამულე-აზნაურნი ხელს უწყობდნენ ახალი მონასტრების აგებას, სამაგიეროდ მათ ეწინააღმდეგებოდნენ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელნი. ასე მოხდა სერაპიონ ზარზმელის შემთხვევაშიც, როდესაც დაბა ძინძეთის მცხოვრებლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სერაპიონს და მის მოწაფეებს. ბასილ ზარზმელის ცნობით, მათ აიძულეს ბერები სხვაგან წასულიყვნენ. როგორც მეცნიერი ვარაუდობს, მოსახლეობას „ბუნებრივი შიში ექნებოდა, რომ მონასტერს მთელი მახლობელი მიწაწყალი, მათ შორის მათი საკუთარი ადგილებიც, ხელთ არ ჩავარდნოდა“ (ჯავახიშვილი, 1982:343).

მეცნიერი ეხება ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა მრევლსა და ხუცესთა შორის ამტყდარ ბრძოლის მიზეზებს, ეტიფანე კათალიკოზის 1218 წლის განაჩენს, რომელიც მოუწოდებს სამღვდელოებას, არ ისარგებლონ მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო და არ გაუზარდონ მრევლს გადასახადები. სამწუხაროდ, ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა მონღოლთა ბატონობის ხანაში, როდესაც სამონღოლო გადასახადებით შეწუხებულმა ხელისუფლებამ და მოსახლეობამ დაიწყო მათი წინაპრებისაგან ეკლესიებისათვის შეწირული მიწების გამოწირვის პროცესი. სასულიერო წოდება მოერიდა პირდაპირ მეფის დადანაშაულებას და იერიში მწიგნობართუხუცესზე მიიტანა. მათ 1263 წელს საგანგებო საეკლესიო კრება მოიწვიეს, ვინაიდან თვლიდნენ, რომ „არღარავისაგან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიჰრონსა, არც ქორებისკოპოსთა, ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ“-ო (ჯავახიშვილი, 1982:362).

საეკლესიო კრებამ საერო ხელისუფლებას მუქარანარევი კატეგორიულობით მოსთხოვა არასასურველი პროცესების შეჩერება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ საერო და სასულიერო იერარქებს შორის ურთიერთობა უფრო პრაგმატული და არასისტემური იყო, თუმცა იყო გამონაკლისებიც - გიორგი ბრწყინვალეს, ალექსანდრე დიდის, ვახტანგ მეექვსის და ერეკლე მეორის დროს აღმოსავლეთ საქართველოში, იმერთა მეფეების: ბაგრატ მეხუთის და სოლომონ პირველის დროს დასავლეთ საქართველოში.

მეცნიერმა გასაოცარი პირდაპირობით ამხილა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და ამ საქმეში გარუსებული ცბიერი ქართველი მიტროპოლიტი ვარლაამის

ანტიეროვნული ქმედებები. „საქართველოს რუსეთთან შეერთების 16 წლის შემდეგ ქართველებს წაართვეს საშუალება მშობლიურ ენაზე მოესმინათ ღვთისმსახურება საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში, სადაც 1400 წლის მანძილზე არ შეწყვეტილა უფლისადმი აღვლენილი მხურვალე ლოცვა. არც ცეცხლთაყვანისმცემელ და არც მუსლიმ სპარსელებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ ჩაუდენიათ ის, რაც ჩაიდინეს რუსეთის მთავრობამ და მისმა ეგზარქატმა საქართველოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ“. (ქართული ენა დალიტერატურა სკოლაში, 1986:159).

მეცნიერი რუსი სამხედრო პირის, კაპიტან დუბეცკის ჩანაწერების მოხმობით აღწერს იმ სისასტიკეს, რასაც რუსები იმერეთში ახორციელებდნენ თეოფილაქტე ეგზარქოსის დროს 1819-1820 წლებში, და რა უდიერად ეპყრობოდნენ მათთვის მიუღებელ მღვდელმთავრებს დოსითეოზს და ექვთიმეს. მეცნიერის ეს პათოსი კარგად ესადაგება იმ დროს ავტოკეფალური მოძრაობის ხელმძღვანელთა სულისკვეთებას.

ივანე ჯავახიშვილი ქართველ სასულიერო პირებთან და მეცნიერებთან ერთად საქართველოს ეკლესიის პრობლემებზე მსჯელობდა 1906 წელს პეტერბურგში გამართულ სინოდის წინარე სხდომებზე, სადაც რუსეთის სინოდის წევრებს უმტკიცებდა უსამართლოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას. იგი სიხარულით მიესალმა 1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოველში, ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს და სიამოვნებით ჩაერთო ახლად შექმნილი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. მან უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ მეორე საგანგებოდ მიიწვია ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე. კათალიკოზმა კირიონმა ახლადგახსნილი უნივერსიტეტის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და ამ სიტყვებით მიმართა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს: „ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა, ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. . . ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი - ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად. . . განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა“ (ჯავახიშვილი ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002: 396).

1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარების შემოსვლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოაცხადა. დაიწყო აგრესიული ათეიზმის ხანა. ივანე ჯავახიშვილს ამის შემდეგ უჭირდა ეკლესიასთან, მის მაღალ იერარქებთან ურთიერთობა. კათალიკოზ ამბროსის დაკითხვის ოქმებიდან კარგად ჩანს, როგორ

ესარჩლება ერის სულიერი წინამძღოლი თბილისის უნივერსიტეტს, მის პროფესურას და აპროტესტებს უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმებას. როგორც ჩანს, არც ივანე ჯავახიშვილი იყო გულგრილი კათალიკოზ ამბროსის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის მიმართ და კულუარებში უკმაყოფილება გამოთქვა ეპისკოპოს ქრისტეფორე ციცქიშვილის მიმართ, რომელიც, ხელისუფლების დაკვეთით, აკრიტიკებდა მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ კათალიკოზ ამბროსის გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო. ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს მეუფე ქრისტეფორეს წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, რომელშიც ავტორი ერთგვარად თავს იმართლებს: „აბა, თქვენ გაგეგზავნათ მემორანდუმი ევროპაში, რა მოუვიდოდა ქართულ უნივერსიტეტს. მას სრულიად გაანადგურებდნენ. თქვენ ფრთხილობთ, ჩვენ ეს სიფრთხილე ვერ გამოვიჩინეთ და საქართველოს ეკლესია განადგურდა (ფონდი 284:41).

დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის უბადლო მკვლევარია, რომელმაც, მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური საისტორიო კრიტიკული წყაროების ანალიზის საფუძველზე, წარმოაჩინა საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, აჩვენა ეკლესიის როლი შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მისი ყველა თვალსაზრისი და დასკვნა არ იყო მისაღები სასულიერო წოდებისათვის, მაგრამ ამ განსხვავებულ საკითხებზე პოლემიკა ეთიკურ ნორმებს არასოდეს არ გასცდენია. ასეთი იყო კამათი მიხეილ თამარაშვილთან, ასეთი პატივისცემა იგრძნობა იმ დროს მიტროპოლიტ, შემდეგ - კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს მიერ ივანე ჯავახიშვილისადმი გაგზავნილ წერილში: „ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! დიდის კმაყოფილებით და სიამოვნებით წავიკითხე ახლად გამოცემული „ქართველი ერის ისტორია“. უფალსა ვთხოვ, ადრე და მალე გვეღირსოს ამ თვალსაჩინო და მეტად საჭირო წიგნის დანარჩენი ნაწილების სტამბიდან გამოსვლა. კადნიერქმნილი ჩემი წიგნაკისადმი ყურადღებით, მოგართმევთ ამასთან ერთად მეორე წიგნაკს, რომელშიდაც უფრო დაწვრილებით არის განხილული ჩვენი ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი. ამ კადნიერებას დაურთავ სხვასაც. გნებავთ გადაათვალიეროთ ეს წიგნაკიც და თქვენი ისტორიის მეორე ტომში საბოლოოდ აღნიშნოთ თქვენი ავტორიტეტული აზრი იმ კრებებისა და პატრიარქის შესახებ, რომელთაც მიანიჭეს ჩვენს ეკლესიას დამოუკიდებლობა. ბიზანტიური წყაროების (ბალსამონი, კედრინი, ვლასტარი, დოსითეოსი) ჩვენებით, ეს კრება მოხდა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მესამის (1052-1057წწ.) და იმპერატორის კონსტანტინე მონომახის (+1054 წ.) დროს. . . მართალია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, 1053 წელს მივიღეთ ჩვენ სრული ეკლესიური დამოუკიდებლობა თუ 5-10 წლის შემდეგ, მაგრამ ვაითუ ბიზანტიური (განსაკუთრებით ბალსამონის) ცნობების უგულებელყოფით ასე თუ ისე შევარყიოთ ჩვენი ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები“ (პაპუაშვილი, 1986:116-118).

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების გამოქვეყნებიდან. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა და დაზუსტდა,

მაგრამ მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით განუზომელია და მას სათანადო დაფასება სჭირდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

papuashvili, n. (1986). kalistrate tsintsadzis ts'erili ivane javakhishvils. *qartuli ena da literatura skolashi.* № 2-3. (პაპუაშვილი, ნ. კალისტრატე ცინცაძის წერილი ივანე ჯავახიშვილს. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში.* № 2-3).

javachishvili, iv. (1979). *tkhzulebani*. t. 1. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1979). *თხზულებანი*. ტ. 1. თბილისი).

javachishvili, iv. (1983). *tkhzulebani*. t. 2. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1983). *თხზულებანი*. ტ. 2. თბილისი).

javachishvili, iv. (1982a). *tkhzulebani*. t. 3. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1982ა). *თხზულებანი*. ტ. 3. თბილისი).

javachishvili, iv. (1982b). *tkhzulebani*. t. 6. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1982ბ). *თხზულებანი*. ტ. 6. თბილისი).

javachishvili, iv. (1984). *tkhzulebani*. t. 7. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1984). *თხზულებანი*. ტ. 7. თბილისი).

javachishvili, iv. (1998). *tkhzulebani*. t. 12. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1998). *თხზულებანი*. ტ. 1. თბილისი).

javaxisvili, iv. (1986). politikuri da socialuri modzraoba saqartveloshi. *qartuli ena da literatura skolashi.* № 2-3. (ჯავახიშვილი, ივ. (1986). პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში.* №2-3).

ivane javaxisvili. enciklopediuri leqsikoni. (2002). redaqtori roin metreveli. tbilisi: gamomtsemloba "tbilisis universitetis gamomtsemloba". (ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. (2002). რედაქტორი: რ. მეტრეველი. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა").

pondi 284. saqartvelos uaxlesi istoriis arqivi. fondi 284, saqme 300, gv, 41. (ფონდი 284. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, საქმე 300).

ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ И ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ

Серго Вардосанидзе
Доктор исторических наук
Профессор Тбилисской Духовной академии и семинарии
ORCID ID:0000-0003-0579-5458
+995599575190, sergovar@gmail. com

Резюме

Видный грузинский историк Иванэ Джавахишвили является одним из первых исследователей научной истории Грузинской православной церкви. Необходимо отметить, что к части грузинских исторических источников он относился крайне критически. На основе анализа грузинских и многочисленных зарубежных источников он первым восстановил историю Грузинской церкви с I до XVIII века. Им досконально были изучены источники, в которых говорилось об апостольской деятельности Андрея Первозванного и св. Нино в Грузии, а также об объявлении христианства государственной религией Грузии. На основе анализа грузинских и армянских источников им была восстановлена история великого церковного раскола, автокефалии Грузинской церкви, приготовления священного мира во Мцхета, рассмотрен вопрос об объединении Мцхетского и Абхазского каталикосатов и особенностях монастырской жизни в Грузинский церкви.

В истории Грузинской церкви ученый особо выделял деятельность Григола Хандзтели, Григория Мтацминдели и Давида Агмашенебели.

Ив. Джавахишвили отмечал важную роль средневековой грузинской церкви в утверждении единой грузинской государственности и церковного сознания. Совершенно отрицательно он относился к предпринятой в 70-80-е гг. XV века попытке сначала Месхети, а затем царя и дворян Западной Грузии отколоться от Мцхетского (всея Грузии) каталикосата и называл инициаторов этого дела могильщиками Грузии. Ученый также отрицательно оценивал упразднение Российским императором Александром I в 1811-1812 гг. католикосата сначала Восточной, а затем Западной Грузии и установление экзаршего управления. В начале XX века он принимал активное участие в дискуссии, состоявшейся в Петербурге и посвященной церковным вопросам, а также автокефалии Грузинской церкви.

На торжественное открытие Тбилисского университета им был приглашен католикос-патриарх Кирион II. Он относился с глубоким уважением к католикосам-патриархам Амвросию и Калистрату. Ив. Джавахишвили внес огромный вклад в дело исследования истории грузинской церкви.

Ключевые слова: Иванэ Джавахишвили, Андрей Первозванный, св. Нино, автокефалия, католикосат Абхазии, Мцхетский католикосат, Григол Хандзтели, Григорий Мтацминдели, экзаршее управление, католикосы Кирион, Амвросий, Калистрат.